„დამტკიცებულია“
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)
2014 წლის „29“ იანვრის #46 სხდომის
#1 გადაწყვეტილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ

წინამდებარე დებულება ”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში ”უნივერსიტეტი”) წესდების საფუძველზე განსაზღვრავს უნივერსიტეტისა და უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტი/სკოლა (შემდგომში “ფაკულტეტი“) არჩევითი მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების), ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის (შემდგომში ”ბიბლიოთეკა”) დირექტორის არჩევის წესებს.

თავი I.
უნივერსიტეტის და ფაკულტეტის არჩევითი მართვის ორგანოებისა და მმართველი სუბიექტების არჩევნების ზოგადი პრინციპები

მუხლი 1. არჩევითი მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები)

1. უნივერსიტეტის არჩევითი მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. ფაკულტეტის არჩევითი მართვის ორგანოებია (მმართველი სუბიექტებია): დეკანი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმღვანელი.

მუხლი 2. არჩევითი მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) შემადგენლობა და არჩევის წესი

1. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.
2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევა ხდება ფარული კენჭისყრით, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების გათვალისწინებით.
3. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს ორი წარმომადგენელი. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა პროფესორი ან ასოცირებული

პროფესორი. აკადემიურ საბჭოში თითოეულ დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულს (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა), შეიძლება ჰყავდეს ერთი წარმომადგენელი. აკადემიურ საბჭოს წევრად აირჩევა ამ ერთეულის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ან უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, გარდა საბჭოს თავმჯდომარის და დირექტორისა.

4. აკადემიური საბჭოს წევრებს ფაკულტეტიდან ირჩევენ შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი და ფაკულტეტის საბჭოს წევრ-სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლები. აკადემიური საბჭოს წევრს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

5. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აირჩევა უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე სტუდენტებისა და აკადემიურ პერსონალის მიერ ცალ-ცალკე, ფაკულტეტებზე მათი რაოდენობის პროპორციულად, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან (გარდა ფაკულტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულისა) წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) აირჩევა სამეცნიერო პერსონალის ორი წარმომადგენელი. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ ორმაგი ოდენობით. სტუდენტები შეადგენენ წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სრული შემადგენლობის ერთ მესამედს. სტუდენტთა რაოდენობის დასადგენად დამრგვალება ხორციელდება სტუდენტთა სასარგებლოდ. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტებიდან აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა წარმომადგენლობის კვოტას ადგენს აკადემიური საბჭო.

6. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს – ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ამომრჩეველთა შესაბამის სიაში ამ დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.

7. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.

8. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ. აკადემიური საბჭოს მიერ არჩეული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელის კანდიდატურა დასამტკიცებლად წარედგინება წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
9. ფაკულტეტის დეკანს ირჩევს და დეკანის თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო.
10. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო.
11. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს ირჩევს ფაკულტეტის საბჭო.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის #01-06-02/34 დადგენილება)

მუხლი 3. ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევის წესი
1. ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად განსაზღვრავს აკადემიური საბჭო.
2. ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობაზე არჩევა ხდება აკადემიური საბჭოს მიერ ღია კონკურსის წესით, ფარული კენჭისყრით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 4. არჩევნების დანიშვნისა და გამოცხადების წესი
1. (ამოღებულია)
2. აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებს ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი, ხოლო რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელისა და ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო. ფაკულტეტის დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.
3. არჩევნების ჩატარების შესახებ მიღებული აქტები უნდა იყოს ყველასთვის ხელმისაწვდომი და საჯარო გაცნობის მიზნით, განცხადების სახით უნდა გამოიკრას უნივერსიტეტის თვალსაჩინო ადგილებში, ასევე, უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და გამოქვეყნდეს ბეჭდვითი მედიის ორგანოში (ღია კონკურსის შემთხვევაში).
4. განცხადებაში აღინიშნება კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა, არჩევნების ჩატარებისა და მისი შედეგების გამოქვეყნების თარიღები, ასევე კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და მათ მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა. მართვის ორგანოების არჩევნების შემთხვევაში, განცხადებაში უნდა აღინიშნოს აგრეთვე არსებული ვაკანსიების რაოდენობა.
5. ამ დებულებით განსაზღვრულ დღეებში იგულისხმება კალენდარული დღეები, თუ ამავე დებულებით სხვა რამ არ არის მითითებული. თუ რეგისტრაციის დასრულების

ან/და არჩევნების დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, რეგისტრაცია გრძელდება/არჩევნები ტარდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თავი II.
საარჩევნო კომისიები

მუხლი 5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია

1. რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების ჩასატარებლად აკადემიური საბჭოს მიერ იქმნება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
2. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შედგება ყველა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა თითო წარმომადგენლისა და სტუდენტური თვითმმართველობის ერთი წარმომადგენლისაგან.
3. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის თითოეულ წევრს ამტკიცებს აკადემიური საბჭო ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია თავის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით კომისიის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
5. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე.
6. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

მუხლი 6. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმომადგენლების ასარჩევად, ასევე ფაკულტეტის დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნების ჩასატარებლად შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ იქმნება ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
2. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია შედგება არა ნაკლებ 5 წევრისგან, ფაკულტეტის საბჭოს მიერ შერჩეული ფაკულტეტის ყველა პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლებისა და ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოს მიერ სტუდენტთა შემადგენლობიდან შერჩეული 1 წარმომადგენლისაგან
3. ფაკულტეტის საბჭო, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა წარმომადგენლებს ამტკიცებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია თავის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით კომისიის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.
5. ფაკულტეტის საარჩევნო კომისია ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.
6. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი დადგენილებით.

6[1] მუხლი. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში წარმომადგენლების ასარჩევად, შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს მიერ იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია.

2. საარჩევნო კომისია შედგება არა ნაკლებ 5 წევრისგან, სამეცნიერო საბჭოს მიერ შერჩეული სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლებისაგან.

3. სამეცნიერო საბჭო, საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში წარმომადგენლებს ამტკიცებს ღია კენჭისყრის წესით, დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.

4. საარჩევნო კომისია თავის პირველ სხდომაზე, ღია კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით კომისიის წევრთაგან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს.

5. საარჩევნო კომისია ანგარიშვალდებულია სამეცნიერო საბჭოს წინაშე.

6. საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება სამეცნიერო საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 7. საარჩევნო კომისიების უფლება-მოვალეობები

1. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია (შემდგომში"საარჩევნო კომისია") უფლებამოსილია:

ა) მიიღოს ყველა გადაწყვეტილება არჩევნების საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ამ დებულებით გათვალისწინებულ მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

2. საარჩევნო კომისიას ეკისრება ვალდებულება არჩევნების ამ დებულებით დადგენილი წესით ჩატარებაზე.

3. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს შესაბამის ოქმებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. საარჩევნო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს (მათ შორის არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს), რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს და აძლევს შესაბამის ცნობებს, რეგისტრაციაში ატარებს საარჩევნო კომისიაში შესულ კორესპონდენციებს და ახორციელებს ამ დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

5. საარჩევნო კომისიას აქვს ბეჭედი.

6. საარჩევნო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მდივანს ან მისი წევრების 1/3-ს.

7. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მდივანი და კომისიის წევრები შეიძლება ამ დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებისათვის უნივერსიტეტის/

ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ბიუჯეტიდან იღებდნენ ერთჯერად ანაზღაურებას.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 8. ინტერესთა შეუთავსებლობა

საარჩევნო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე უნივერსიტეტის მართვის ორგანოს წევრი ან არჩევნებში მონაწილე კანდიდატი.

თავი III.
აკადემიური საბჭოს არჩევნები

მუხლი 9. აკადემიური საბჭოს არჩევნების დანიშვნა

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს შემადგენლობის განახლების ან აკადემიურ საბჭოში წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 10. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა და ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია.
2. აკადემიურ საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-9 მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.
7. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს. თუ რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, არჩევნები ტარდება უახლოეს სამუშაო დღეს.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 11. აკადემიური საბჭოს წევრის/წევრების უფლებამოსილების ცნობა

1. ახლად არჩეული აკადემიური საბჭოს პირველ სხდომას იწვევს რექტორი არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებიდან 5 დღის ვადაში.

2. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

3. აკადემიური საბჭო პირველივე სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ცნობს თავისი ახლადარჩეული წევრის/წევრების უფლებამოსილებას.

4.(ამოღებულია)

5. (ამოღებულია)

6. (ამოღებულია)

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

თავი IV.
წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნები

მუხლი 12. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების დანიშვნა

უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მორიგი არჩევნების ან წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმოქმნილი ვაკანსიის შევსების მიზნით, არჩევნების დანიშვნის თაობაზე ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი. სენატში ვაკანსიის წარმოქმნის შემთხვევაში წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა. ასეთის არარსებობის შემთხვევაში უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს არჩევნების დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 13. წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) არჩევნებში ამომრჩეველთა და ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებში ამომრჩეველთა რეგისტრაციის წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია.

2. აკადემიურ საბჭოში ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაციას ახორციელებს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-12 მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში.

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.

5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.

6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

7. არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს. თუ რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, არჩევნები ტარდება უახლოეს სამუშაო დღეს.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 14. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების ცნობა და მისი სპიკერის არჩევა

1. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის რექტორი (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი), წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების შემდეგ, მოქმედი წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში.

2. ახლად არჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომას თავმჯდომარეობს სხდომის უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.

2^1. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) პირველ სხდომაზე უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე საბჭოს მოახსენებს არჩევნების შედეგებს და სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა უფლებამოსილების დამადასტურებელ საჭირო დოკუმენტაციას (საარჩევნო ოქმები, მასალები არჩევნების შედეგების, მისი მოწყობის სისწორის, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების და სხვა საარჩევნო ინფორმაციის შესახებ).

2^2. სხდომის თავმჯდომარე სხდომის მონაწილეებს აცნობს საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას და დოკუმენტაციას.

2^3. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრთა უფლებამოსილების დადასტურების თაობაზე საბჭოს დადგენილებაში შეიტანება ყველა ის პირი, რომლის არჩევა კანონიერად ჩათვალა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ და დადასტურებულად მიიჩნია სხდომის მონაწილეთა სრული შემადგენლობის უმრავლესობამ.

2^4. თუ იმ პირთა რაოდენობა, რომლის უფლებამოსილებაც წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატმა) დაადასტურა, სრული შემადგენლობის ნახევარზე ნაკლებია, მაშინ სხდომა წყდება. ახლადარჩეული წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მომდევნო სხდომას იწვევს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სრული შემადგენლობის სულ ცოტა ნახევარზე მეტის არჩევიდან 10 დღის ვადაში.

3. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი), სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით ცნობს თავის (ახლადარჩეული წევრების) უფლებამოსილებას პირველივე სხდომაზე.

4. წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) თავისი შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის)

სპიკერს. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც მხარს დაუჭერს საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს ორ საუკეთესო შედეგების მქონე პრეტენდენტს შორის გაიმართება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, 5 დღის ვადაში იმართება წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სხდომა და სპიკერის შერჩევის პროცედურა იმართება ხელახლა.

5. (ამოღებულია)

6. ამოღებულია)

7. სპიკერი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

8. უნივერსიტეტი არჩევნების პროცედურის დამთავრებისთანავე, წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.

9. (ამოღებულია)

10. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე ტარდება არჩევნები. ვაკანტურ ადგილზე პირი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

თავი V.
უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები

მუხლი 15. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების დანიშვნა

1. უნივერსიტეტის რექტორის მორიგ არჩევნებს ან რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო.

2. (ამოღებულია)

3. რექტორის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას აკადემიური საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.

4. რექტორის არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: რექტორობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 16. რექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი

1. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. კანდიდატის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.

2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-15 მუხლში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და მიმდინარეობს არანაკლებ 14 დღის განმავლობაში.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

მუხლი 17. უნივერსიტეტის რექტორის არჩევა
1. უნივერსიტეტის რექტორის არჩევნები ტარდება კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 7 დღის ვადაში.
2. კანდიდატების რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე დროის შუალედში, აკადემიური საბჭოს მიერ დანიშნულ დღეებში, კანდიდატები აკადემიურ საბჭოს საჯაროდ წარუდგენენ თავიანთ სამოქმედო პროგრამებს. აკადემიური საბჭო აფასებს თითოეული კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამოქმედო პროგრამას.
3. რექტორი აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
4. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
5. (ამოღებულია)
6. არჩეულ რექტორს უნივერსიტეტი არჩევიდან 2 კვირის ვადაში წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სარეგისტრაციოდ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
7. (ამოღებულია)
8. პირი, რომელსაც ეკავა ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობა, უნივერსიტეტის რექტორად შეიძლება არჩეულ იქნას მხოლოდ მისი, როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ერთი ვადის გასვლის შემდეგ.

თავი VI.
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) არჩევნები

მუხლი 18. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) არჩევნების დანიშვნა
1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) მორიგ არჩევნებს ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო.
2. (ამოღებულია)
3. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი

დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 19. ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის (კანცლერობის) კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევა

1. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.
2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-18 მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.
7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს. თუ რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, არჩევნები ტარდება უახლოეს სამუშაო დღეს.
8. რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე დროის შუალედში, აკადემიური საბჭო იხილავს შემოსულ განცხადებებს, ეცნობა კანდიდატებს, ისმენს მათ სამოქმედო პროგრამებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
9. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
10. აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კანდიდატურას წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ამტკიცებს ფარული კენჭისყრით. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) კანდიდატურის დამტკიცებისას გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.
11. ერთი და იმავე პირის კანდიდატურა აკადემიურმა საბჭომ წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) შეიძლება წარუდგინოს მხოლოდ ორჯერ. წარმომადგენლობითი საბჭოს განმეორებითი უარის შემთხვევაში, აკადემიური საბჭო არაუგვიანეს 3 დღისა, ამ დებულებით დადგენილი წესით ნიშნავს ახალ არჩევნებს და წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს) წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) ახალ კანდიდატურას.

12. უნივერსიტეტი არჩევნების პროცედურის დამთავრებისთანავე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რეესტრში რეგისტრაციისათვის კანონმდებლობით განსაზღვრულ დოკუმენტაციას.
13. (ამოღებულია)
14. (ამოღებულია)

თავი VII.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები

მუხლი 20. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნა

1. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მორიგ არჩევნებს ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო.

2. (ამოღებულია)

3. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 21. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევა

1. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.
2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების მე-20 მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.
7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს. თუ არჩევნების ჩატარების თარიღი ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, არჩევნები ტარდება უახლოეს სამუშაო დღეს.

8. რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე დროის შუალედში, აკადემიური საბჭო იხილავს შემოსულ განცხადებებს, ეცნობა კანდიდატებს, ისმენს მათ სამოქმედო პროგრამებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რომელსაც დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).
9. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
10. აკადემიური საბჭოს მიერ წარდგენილ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურას წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) ამტკიცებს ფარული კენჭისყრით. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცებისას გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.
11. (ამოღებულია)
12. (ამოღებულია)

თავი VIII.
ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნები

მუხლი 22. ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნების დანიშვნა
1. ბიბლიოთეკის დირექტორის მორიგ არჩევნებს ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს აკადემიური საბჭო.
2. (ამოღებულია)
3. არჩევნების დანიშვნის შესახებ აკადემიური საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები.
ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 23. ბიბლიოთეკის დირექტორობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევა
1. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.
2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების 22-ე მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის

(ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.
7. ბიბლიოთეკის დირექტორის არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს. თუ არჩევნების ჩატარების თარიღი ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, არჩევნები ტარდება უახლოეს სამუშაო დღეს.
8. რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე დროის შუალედში, აკადემიური საბჭო იხილავს შემოსულ განცხადებებს, ეცნობა კანდიდატებს, ისმენს მათ სამოქმედო პროგრამებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ბიბლიოთეკის დირექტორს.
9. ხმის მიცემის პროცედურის ჩატარებას და შედეგების შეჯამებას ამ დებულების შესაბამისად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია.
10. ბიბლიოთეკის დირექტორის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

თავი IX.
ფაკულტეტის დეკანის არჩევნები

მუხლი 24. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნა
1. ფაკულტეტის დეკანის მორიგი არჩევნების ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში დეკანის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.
2. (ამოღებულია)
3. ფაკულტეტის დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: დეკანობის კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 25. ფაკულტეტის დეკანობის კანდიდატების რეგისტრაციის წესი
1. დეკანის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატების რეგისტრაციის დაწყების შესახებ განცხადებას ფაკულტეტის საბჭო აქვეყნებს კანდიდატების რეგისტრაციის დაწყებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე.
2. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.
2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს შესაბამისი ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.
3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი თვის შემდეგ და მიმდინარეობს არა ნაკლებ 14 დღის განმავლობაში.

4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას ფაკულტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.

მუხლი 26. ფაკულტეტის დეკანის არჩევა
1. დეკანის არჩევნები ტარდება კანდიდატთა რეგისტრაციის დასრულებიდან 7 დღის ვადაში.
2. (ამოღებულია)
3. (ამოღებულია)
4. ფაკულტეტის დეკანი აირჩევა ფაკულტეტის საბჭოს მიერ ფარული კენჭისყრით. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.
5. (ამოღებულია)

თავი X.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები

მუხლი 27. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნა

1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მორიგ არჩევნებს ან მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად არჩევნებს ნიშნავს ფაკულტეტის საბჭო.
2. (ამოღებულია)
3. არჩევნების დანიშვნის შესახებ ფაკულტეტის საბჭოს მიერ გამოცემული აქტით განისაზღვრება: კანდიდატთა მიმართ წაყენებული მოთხოვნები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, კანდიდატთა რეგისტრაციისა და არჩევნების ჩატარების ვადები. ამავე აქტით დგინდება გამოსაქვეყნებელი განცხადების ტექსტი და მისი გამოქვეყნების თარიღი.

მუხლი 28. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატთა რეგისტრაციის წესი და არჩევა
1. რეგისტრაციაში გატარდება ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს განცხადებაში მოცემულ მოთხოვნებს და გააჩნია შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები. პირის რეგისტრაციაში გატარებისათვის ასევე სავალდებულოა, მის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის) და სამოქმედო პროგრამის წარდგენა.
2. კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწყება ამ დებულების 27-ე მუხლში მითითებული აქტის გამოქვეყნებიდან 7 დღის შემდეგ და მიმდინარეობს 7 დღის განმავლობაში.
4. კანდიდატის რეგისტრაციაზე უარი დასაბუთებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით.
5. რეგისტრაციაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებაში მიეთითება უარის თქმის საფუძველი და კანდიდატის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში არსებული ხარვეზის (ხარვეზების) შესახებ. კანდიდატი უფლებამოსილია, ხარვეზი გამოასწოროს 3 დღის განმავლობაში.
6. კანდიდატი უფლებამოსილია, რეგისტრაციაზე უარი გაასაჩივროს ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში 1 დღის განმავლობაში. საჩივართან დაკავშირებულ გადაწყვეტილებას უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია იღებს 2 დღის განმავლობაში.
7. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ტარდება რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღეს. თუ რეგისტრაციის დასრულებიდან მე-7 დღე ემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, არჩევნები ტარდება უახლოეს სამუშაო დღეს.
8. რეგისტრაციის დასრულებიდან არჩევნების ჩატარების დღემდე დროის შუალედში, ფაკულტეტის საბჭო იხილავს შემოსულ განცხადებებს, ეცნობა კანდიდატებს, ისმენს მათ სამოქმედო პროგრამებს და ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს.
9. (ამოღებულია)
10. (ამოღებულია)

თავი XI.
არჩევნების ორგანიზების და ჩატარების წესი

მუხლი 29. არჩევნების ჩატარების ტექნოლოგია
1. არჩევნები შეიძლება ჩატარდეს ტრადიციული ან ელექტრონული ტექნოლოგიით.
2. არჩევნების ჩატარების ელექტრონული ტექნოლოგია გულისხმობს ამომრჩევლის რეგისტრირებას სარეგისტრიციო ტერმინალიდან ბიომეტრიული იდენტიფიცირების გზით და ხმის მიცემის ტერმინალზე ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენის გამოყენებას და არჩევნების შედეგების ავტომატურ შეჯამებას.

მუხლი 30. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია
1. მართვის ორგანოებში (მმართველ სუბიექტად) ასარჩევ კანდიდატს უფლება აქვს ჩაატაროს წინასაარჩევნო კამპანია. წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვისას ყველა კანდიდატი სარგებლობს თანასწორი უფლებით.
2. ასარჩევ კანდიდატებს და ამომრჩევლებს, ასევე დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიული პირებს, უფლება აქვთ გასწიონ წინასაარჩევნო აგიტაცია კანდიდატის მხარდასაჭერად.
3. წინასაარჩევნო აგიტაცია და კამპანია არ ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ.
4. არჩევნების დღეს კამპანიისა და აგიტაციის წარმოება იკრძალება.
5. წინასაარჩევნო კამპანია და აგიტაცია შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებით (კრებები და შეხვედრები ამომრჩევლებთან, საჯარო დებატები და დისკუსიები), ბეჭდური სააგიტაციო მასალების გამოცემა-გავრცელებით, წინასაარჩევნო მოწოდებების, განცხადებების, ფურცლებისა და ფოტო/ვიდეო მასალის

დამზადებისა და გავრცელების გზით, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული ნებისმიერი საშუალებით. აკრძალულია მათი გავრცელებისათვის ხელის შეშლა.
6. წინასაარჩევნო კამპანიამ და აგიტაციამ არ უნდა შეუშალოს ხელი უნივერსიტეტში სასწავლო, სამეცნიერო, სამეურნეო და სხვა პროცესებს. პროცესს. იკრძალება მეცადინეობებზე სტუდენტებთან საარჩევნო კამპანიისა და აგიტაციის ჩატარება, აგრეთვე ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც შეუფერებელია ასარჩევი კანდიდატის სტატუსთან (პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით მოსყიდვა, ან რაიმე სიკეთის ან პრივილეგიის მინიჭება, ან ასეთის დაპირება, მუქარა, ზეწოლა, შანტაჟი და სხვა), ხელყოფს წესრიგს უნივერსიტეტში და აზიანებს უნივერსიტეტის ქონებას.
7. უნივერსიტეტს უფლება არ აქვს დაუსაბუთებელი უარი უთხრას წინასაარჩევნო კამპანიისა და აგიტაციისათვის აუდიტორიებით, დარბაზებითა და დაწესებულების სხვა ქონებით უსასყიდლოდ სარგებლობაზე. აღნიშნულით სარგებლობა ყველა კანდიდატისათვის თანაბრად მისაწვდომი უნდა იყოს.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული უარი უნდა იყოს წერილობითი ფორმის და მისი მიღებიდან 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საარჩევნო კომისიაში, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს 3 დღის ვადაში.

მუხლი 31. ტრადიციული ტექნოლოგიის საარჩევნო სიები
1. საარჩევნო სიების გადაცემას შესაბამის საარჩევნო კომისიებისათვის უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი).
2. აკადემიური, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა სიები დგება ცალ-ცალკე.
3. სენატის არჩევნების შემთხვევაში სტუდენტთა ამომრჩევლების სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, ხოლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს არჩევნების შემთხვევაში - ფაკულტეტის საბჭოს წევრი ყველა სტუდენტი.
4. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება მოცემული ფაკულტეტის ყველა პროფესორი, აკადემიურ საბჭოში წარმომადგენლის არჩევისას და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) წარმომადგენლების არჩევისას დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ამომრჩეველთა სიებში შეიტანება შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი.
5. ასიტენტი ვალდებულია, ამ დებულების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების შესაბამისად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), შესაბამის სიაში შეყვანის მიზნით.
6. ერთი და იმავე პირის მონაცემების რამდენიმე ფაკულტეტის საარჩევნო სიაში შეტანა, ან ერთი ფაკულტეტის საარჩევნო სიაში ორჯერ შეტანა დაუშვებელია.
7. საარჩევნო სიაში შეიტანება შემდეგი მონაცემები:
ა) ამომრჩევლის სახელი და გვარი;
ბ) ამომრჩევლის პირადი ნომერი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მიხედვით ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის დასახელება და ნომერი.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის #01-06-02/34 დადგენილება)

მუხლი 32. ელექტრონული ტექნოლოგიის საარჩევნო სიები

1. საარჩევნო სიების გადაცემას შესაბამის საარჩევნო კომისიებისათვის ელექტრონულ ფორმაში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი).

2. ელექტრონული სახით საარჩევნო სიები ფორმირებული უნდა იქნას 31-ე მუხლის მე-2-მე-6 პუნქტების შესაბამისად.

3. ელექტრონული საარჩევნო სიები 31-ე მუხლის მე-7 პუნტით გათვალისწინებული მონაცემების გარდა, დამატებით უნდა მოიცავდეს ამომრჩევლის თითის ანაბეჭდის ციფრულ შაბლონს.

მუხლი 33. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენზე სათანადო აღნიშვნით და საარჩევნო ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.

2. საარჩევნო ბიულეტენი იბეჭდება უნივერსიტეტის მიერ, რაზეც პასუხისმგებელია რექტორი (რექტორის მოვალეობის შემსრულებელი).

3. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთათვის იბეჭდება ცალ-ცალკე.

4. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება:

ა) უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის (თუ არჩევნებს ატარებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია) სახელწოდება;

ბ) მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) არჩევნებისთვის კუთვნილება;

გ) საარჩევნო ბიულეტენის კუთვნილება: აკადემიური პერსონალისა თუ სტუდენტებისათვის (წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებში);

დ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი (ანბანით, გვარის პირველი ასოს მიხედვით);

ე) არჩევნების ჩატარების თარიღი;

ვ) საარჩევნო კომისიის წევრის (წევრების) ხელმოწერის ადგილი.

5. პირზე ერთზე მეტი საარჩევნო ბიულეტენის გაცემა, ასევე აკადემიურ პერსონალზე სტუდენტის საარჩევნო ბიულეტენის ან პირიქით გაცემა დაუშვებელია.

6. საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პირადობის მოწმობის/პასპორტის და სხვ.) წარდგენის საფუძველზე.

მუხლი 34. ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენი

1. ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემა ხორციელდება ხმის მიცემის ტერმინალის მონიტორზე ასახული ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენზე კანდიდატის გვარის გააქტიურებით.

2. ელექტრონულ საარჩევნო ბიულეტენზე დატანილია:

ა) უნივერსიტეტისა და შესაბამისი ფაკულტეტის (თუ არჩევნებს ატარებს ფაკულტეტის საარჩევნო კომისია) სახელწოდება.

ბ) მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) არჩევნებისათვის კუთვნილება.

გ) ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი (ანბანით, გვარის პირველი ასოს მიხედვით)

დ) არჩევნების ჩატარების თარიღი.

3. ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენზე დატანილია ვირტუალური ღილაკი „ბიულეტენის გაბათილება“.
4. ამომრჩეველზე ერთზე მეტი ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენის გაცემა დაუშვებელია.
5. ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენი გაიცემა ამომრჩევლის ბიომეტრიული იდენტიფიცირების საშუალებით.

მუხლი 35. ტრადიციული ტექნოლოგიის საარჩევნო ყუთი

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიებს უზრუნველყოფს გამჭვირვალე საარჩევნო ყუთებით. თითოეული ფაკულტეტის საარჩევნო კომისიას გადაეცემა 2 საარჩევნო ყუთი - აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვის, ხოლო უნივერსიტეტის და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიებს - 1 ყუთი.
2. საარჩევნო ყუთზე თვალსაჩინო ფორმით აღინიშნება, თუ რომელი მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) არჩევნებისთვისაა იგი განკუთვნილი, აგრეთვე მინიშნება (წარწერა) იმაზე, აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვისაა განკუთვნილი (სენატის არჩევნებში).
3. საარჩევნო ყუთი კენჭისყრამდე მოწმდება, რათა საარჩევნო კომისიის წევრები და დამკვირვებლები დარწმუნდნენ, რომ იგი ცარიელია. კენჭისყრის დაწყებამდე საარჩევნო ყუთი ილუქება კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით და პირველი ამომრჩევლის საარჩევნო ბიულეტენთან ერთად მასში თავსდება საკონტროლო ფურცელი, რაც არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების ერთ-ერთი საშუალებაა.
4. საკონტროლო ფურცელი თითოეული ყუთისათვის დგება 2 ეგზემპლარად და მათზე აღინიშნება შესაბამისი მართვის ორგანოს (მმართველი სუბიექტის) დასახელება და პირველი ამომრჩევლის რეკვიზიტები (სახელი, გვარი, მისამართი), კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა. საკონტროლო ფურცლის თითო ეგზემპლარი რჩება საარჩევნო კომისიაში.
5. არჩევნების პროცესში საარჩევნო ყუთის დაზიანების შემთხვევაში, საარჩევნო კომისია უფლებამოსილია, იმსჯელოს არჩევნების შედეგების ბათილად ცნობის შესახებ, თუ მიიჩნევს, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს არჩევნების შედეგებზე.
6. თუ საარჩევნო ყუთში მისი გახსნის შემდეგ არ აღმოჩნდა საკონტროლო ფურცელი, ან მასში მოთავსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემები არ დაემთხვა საარჩევნო კომისიაში არსებული საკონტროლო ფურცლის მონაცემებს, არჩევნების შედეგები ცხადდება ბათილად.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 36. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების აპარატურული და პროგრამული უზრუნველყოფა

1. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიებს უზრუნველყოფს აპარატურული და პროგრამული საშუალებებით. თითოეული ფაკულტეტის/დამოუკიდებელისამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიას

გადაეცემა 1 რეგისტრაციის ტერმინალი (კომპლექტი მოიცავს: პერსონალურ კომპიუტერს, დაქტილოსკოპიურ სკანერს და უწყვეტი კვების წყაროს) და 1 ხმის მიცემის ტერმინალი (კომპლექტი მოიცავს: პერსონალური კომპიუტერის სისტემურ ბლოკს, სენსორულ მონიტორს და უწყვეტი კვების წყაროს) მათში ჩატვირთული პროგრამული უზრუნველყოფებით.

2. კენჭისყრის დაწყებამდე პერსონალური კომპიუტერის და ხმის მიცემის ტერმინალის სისტემური ბლოკები ილუქება საარჩევნო კომისიის წევრებისა და დამკვირვებლების თანდასწრებით.

3. პირველი ამომრჩევლის ბიომეტრიულ რეგისტრირებამდე არჩევნების შედეგების ნამდვილობის შემოწმების მიზნით საარჩევნო კომისიის წევრები თანმიმდევრულად ბიომეტრიული იდენტიფიცირების გზით ამოწმებენ „ელექტრონულ საკონტროლო ფურცელს“. პირველი ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის შემდგომ „ელექტრონულ საკონტროლო ფურცელში“ შეიტანება პირველი ამომრჩევლის საიდენტიფიკაციო მონაცემები (გვარი, სახელი, პირადი #).

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 37. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.

2. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადო მოწყობას.

3. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიას სათანადო ბეჭდით.

4. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ დილის 9 საათზე.

5. საარჩევნო კომისიების წევრები არჩევნების დღეს დილის 10 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი წილისყრაში არ მონაწილეობენ.

6. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნას:

ა) რეგისტრატორი;

ბ) საარჩევნო ბიულეტენის გამცემი;

გ) საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერი (ხელმომწერები);

დ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი (მარეგულირებლები);

ე) საარჩევნო ყუთის მეთვალყურე.

7. ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია მითითებული ფუნქციების შეთავსება.

8. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 38. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების ორგანიზება

1. არჩევნების ორგანიზებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს უნივერსიტეტი.
2. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიისათვის შესაბამისი ოთახის გამოყოფასა და სათანადო მოწყობას.
3. უნივერსიტეტის/ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს საარჩევნო კომისიას სათანადო ბეჭდით.
4. არჩევნების დღეს საარჩევნო კომისიები მუშაობას იწყებენ დილის 9 საათზე.
5. საარჩევნო კომისიების წევრები არჩევნების დღეს დილის 10 საათამდე წილისყრით ინაწილებენ ფუნქციებს. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი წილისყრაში არ მონაწილეობენ.
6. წილისყრის შედეგად გამოვლენილ უნდა იქნას:
ა) რეგისტრატორი;
ბ) ამომრჩეველთა ნაკადის მარეგულირებელი (მარეგულირებლები)
7. კენჭისყრა იწყება არჩევნების დღეს დილის 10 საათზე.
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 39. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების პროცედურა
1. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველი საარჩევნო კომისიის რეგისტრატორისაგან იღებს შესაბამის საარჩევნო ბიულეტენს, რასაც ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში საკუთარი გვარის გასწვრივ ხელმოწერით. ამის შემდეგ, ამომრჩეველი მიდის საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერ კომისიის წევრთან, რომელიც საარჩევნო ბიულეტენის შესაბამის ადგილზე აწერს ხელს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი შემოხაზავს მისთვის სასურველი იმდენი კანდიდატის რიგით ნომერს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული, იგი გამოდის საარჩევნო კაბინიდან, საარჩევნო ბიულეტენს აგდებს საარჩევნო ყუთში და გადის ოთახიდან.
2. არ შეიძლება ოთახში ორზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა.
3. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.
4. ხმის მიცემისას საარჩევნო ბიულეტენში სასურველი კანდიდატის ნომრის შემოხაზვა უნდა მოხდეს ერთი და იმავე კალმით, ან ტექნიკური საშუალებით (სპეციალური შტამპით), რის შესახებაც გადაწყვეტილებას წინასწარ იღებს საარჩევნო კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, რაც ფიქსირდება შესაბამის ოქმში.

მუხლი 40. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების პროცედურა
1. კენჭისყრის დღეს რეგისტრატორი ამომრჩეველს ბიომეტრიული იდენტიფიცირების გზით გაატარებს რეგისტრაციაში და გასცემს ელექტრონულ საარჩევნო ბიულეტენს. შემდეგ ამომრჩეველი შედის სპეციალურად მოწყობილ საარჩევნო კაბინაში. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი ხმის მიცემის ტერმინალზე გააქტიურებს მისთვის სასურველი იმდენი კანდიდატის გვარს, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული, იგი გამოდის საარჩევნო კაბინიდან და გადის ოთახიდან.

2. არ შეიძლება ოთახში ორზე მეტი ამომრჩევლის ერთდროულად ყოფნა. კაბინად შეიძლება ჩაითვალოს აგრეთვე ნებისმიერი განცალკევებული ადგილი, სადაც ხმის მიცემის ფარულობა იქნება დაცული.
3. ხმის მიცემისას ელექტრონულ საარჩევნო ბიულეტენში სასურველი კანდიდატის გვარის გააქტიურება უნდა მოხდეს თითით ან სტილუსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით.

მუხლი 41. დამკვირვებელი

1. არჩევნების პროცესზე დაკვირვების მიზნით, ფიზიკური და იურიდიული პირები უფლებამისილნი არიან არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე მიმართონ საარჩევნო კომისიას დამკვირვებლის სტატუსის მოსაპოვებლად.
2. პირი დამკვირვებლად არ დაიშვება, თუ იგი არის:
ა) უნივერსიტეტის მართვის ორგანოებში (მმართველ სუბიექტად) მოცემულ არჩევნებში ასარჩევი კანდიდატი;
ბ) უნივერსიტეტის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი;
გ) ამომრჩეველი ამავე არჩევნებში.
3. პირს, რომელსაც საარჩევნო კომისიის მიერ არ აქვს მინიჭებული დამკვირვებლის სტატუსი, შეუძლია მხოლოდ სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი დარბაზიდან (ოთახიდან) დააკვირდეს საარჩევნო კომისიის მუშაობას (ასეთი დარბაზის/ოთახის არსებობის შემთხვევაში).
4. დამკვირვებელი უფლებამოსილია:
ა) დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მიმართოს საარჩევნო კომისიას და მოითხოვოს დარღვევის აღკვეთა;
ბ) მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში შეადგინოს დარღვევის ოქმი და წარადგინოს საარჩევნო კომისიაში;
გ) მონაწილეობა მიიღოს საჩივრების განხილვის პროცესში.
5. დამკვირვებელი მოვალეა ხელი არ შეუშალოს არჩევნების ჩატარებას. საარჩევნო კომისია ვალდებულია ხელი არ შეუშალოს დამკვირვებელს.
6. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია არჩევნების დღეს განხორციელდეს არჩევნების პროცესის ჩაწერა აუდიოვიზუალური საშუალებებით. ამ შემთხვევაში ჩანაწერი ინახება საარჩევნო დოკუმენტაციასთან ერთად.

მუხლი 42. ტრადიციული ტექნოლოგიით არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა.
2. კენჭისყრის დასრულების შემდეგ საარჩევნო კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო სიებში ხელმოწერების მიხედვით არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობას აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის ცალ-ცალკე, რაც ფიქსირდება შესაბამის შემაჯამებელ ოქმში, რომელშიც აისახება არჩევნებში მონაწილე ყველა კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა.
3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი და სტუდენტთა საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის მესამედზე მეტი.

გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარებულად ჩათვლის შესახებ აკადემიური/სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტებისათვის მიიღება ცალ-ცალკე.

4. არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობის დათვლის შემდეგ იხსნება საარჩევნო ყუთი (ყუთები) და კომისიის წევრები ითვლიან საარჩევნო ბიულეტენებს. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებში პირველად იხსნება და ითვლება აკადემიური პერსონალისათვის განკუთვნილი საარჩევნო ყუთი, ხოლო შემდეგ – სტუდენტებისათვის.

5. საარჩევნო ბიულეტენი ბათილია, თუ:

ა) არ აღმოჩნდა საარჩევნო ბიულეტენზე ხელისმომწერი კომისიის წევრის ხელმოწერა;

ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატურა;

გ) თუ შემოხაზულია იმაზე მეტი კანდიდატურა, რამდენი ვაკანსიაცაა გამოცხადებული;

დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა;

ე) საარჩევნო ბიულეტენზე სრულყოფილად არ არის მითითებული ამ დებულების 33-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული რეკვიზიტები.

6. ხმების დათვლისთანავე ივსება შემაჯამებელი ოქმი (წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნებში ივსება ოქმები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვის ცალ-ცალკე), რომელშიც/რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა რაოდენობა სიების მიხედვით;

ბ) არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობა საარჩევნო სიებში ამომრჩეველთა ხელმოწერების მიხედვით;

გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;

დ) ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) ინფორმაცია საკონტროლო ფურცლის შესახებ;

ზ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

7. ფაკულტეტიდან/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი (კანდიდატები), რამდენ ვაკანტურ ადგილზეც დაინიშნა არჩევნები.

8. უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობებზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ. ფაკულტეტის დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.

9. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის სრული დოკუმენტაცია და ბეჭედი არჩევნების შედეგების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს, ხოლო ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიის დოკუმენტაცია და ბეჭედი კი - შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არქივს.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

მუხლი 43. ელექტრონული ტექნოლოგიით არჩევნების შედეგების შეჯამება

1. კენჭისყრა დასრულდება არჩევნების დღეს, არაუგვიანეს 17 საათისა.

2. საარჩევნო უბანი იხურება ელექტრონულად, ავტომატურად ჯამდება არჩევნების შედეგები და რეგისტრაციის ტერმინალის მონიტორზე გამოიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა სიითი რაოდენობა;

ბ) რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა;

გ) ხმის მისაცემად გამოყენებული ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

დ) ბათილი ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა.

3. არჩევნები ჩატარებულად ითვლება, თუ გამოცხადდა აკადემიური პერსონალის საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის ნახევარზე მეტი და სტუდენტთა საარჩევნო სიაში შეყვანილ ამომრჩეველთა რაოდენობის მესამედზე მეტი; გადაწყვეტილება არჩევნების ჩატარებულად ჩათვლის შესახებ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის მიიღება ცალ-ცალკე.

4. ივსება შემაჯამებელი ოქმები აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წარმომადგენელთა არჩევნებისათვის ცალ-ცალკე, რომლებშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

ა) ამომრჩეველთა სიითი რაოდენობა;

ბ) რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა;

გ) ხმის მისაცემად გამოყენებული ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

დ) ბათილი ელექტრონული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;

ე) თითოეული კანდიდატის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობა;

ვ) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.

5. ფაკულტეტიდან/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან აკადემიურ საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) არჩეულად ითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი (კანდიდატები), რამდენ ვაკანტურ ადგილზეც დაინიშნა არჩევნები.

6. არჩევნების შედეგები არქივის გადაიტანება მყარ მატარებელზე.

7. უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის და ბიბლიოთეკის დირექტორის თანამდებობებზე არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა აკადემიური საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ. ფაკულტეტის დეკანის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ.

8. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის საკონტროლო პროცედურის ოქმი, შემაჯამებელი ოქმი, არქივი მყარ მატარებელზე და ბეჭედი არჩევნების შედეგების

კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის არქივს, ხოლო ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიის დოკუმენტაცია და ბეჭედი კი - შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის არქივს.

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)

თავი XII.
არჩევნების მეორე ტურისა და განმეორებითი არჩევნების ჩატარების წესი

მუხლი 44. არჩევნების მეორე ტურისა და განმეორებითი არჩევნების ჩატარების პირობები

1. თუ უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის, ბიბლიოთეკის დირექტორის, ფაკულტეტის დეკანის ან ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებში მონაწილეთაგან ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ხმათა საჭირო რაოდენობა, არჩევნების ჩატარებიდან ერთი კვირის ვადაში ტარდება არჩევნების მეორე ტური მხოლოდ იმ პირთა მონაწილეობით, ვინც მოაგროვა ხმების მაქსიმალური (მეტი) რაოდენობა. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის პირი, რომელიც დააგროვებს შესაბამის თანამდებობაზე ასარჩევად ამ დებულებით განსაზღვრულ ხმათა რაოდენობას.
2. თუ მართვის ორგანოების არჩევნებში მონაწილე რამდენიმე კანდიდატმა (რომელთა რაოდენობა მეტია მათ მიერ დასაკავებელ ვაკანსიათა რაოდენობაზე) დააგროვა თანაბარი რაოდენობის ხმები და მათ შორისაა გასაკეთებელი არჩევანი, მათი მონაწილეობით ერთი კვირის ვადაში ტარდება არჩევნების მეორე ტური. არჩევნების მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება საუკეთესო შედეგების მქონე იმდენი კანდიდატი, რამდენი ვაკანსიაცაა წარმოდგენილი ამ ტურში.
3. თუ არჩევნების პირველ ტურში არჩევით თანამდებობაზე მონაწილეობდა მხოლოდ 1 კანდიდატი და მან ვერ მიიღო ხმების საჭირო რაოდენობა ან არჩევნების მეორე ტურშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, დარჩენილ ვაკანსიებზე ერთი კვირის ვადაში ინიშნება განმეორებითი (ხელახალი) არჩევნები ამ დებულებით განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურის სრული დაცვით.
4. (ამოღებულია).

(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2019 წლის 22 თებერვლის #01-06-02/06 დადგენილება)
(უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის #01-06-02/34 დადგენილება)

თავი XIII.
არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

მუხლი 45. საბოლოო შედეგების გამოქვეყნება

1. საარჩევნო კომისია არჩევნების საბოლოო შედეგებს აქვეყნებს არჩევნების დასრულების დღეს, თვალსაჩინო ადგილზე.
2. არჩევნების საბოლოო შედეგები ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

თავი XIV.
არჩევნების პროცედურისა და შედეგების გასაჩივრების წესი

მუხლი 46. არჩევნების შედეგების გასაჩივრება

1. თუ ამ დებულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან 1 სამუშაო დღის განმავლობაში არჩევნებში მონაწილე კანდიდატს, დამკვირვებელს, საარჩევნო კომისიის წევრს ან შესაბამის ამომრჩეველს უფლება აქვს შეიტანოს საჩივარი ამ დებულებით დადგენილი წესის დარღვევასთან დაკავშირებით შესაბამის საარჩევნო კომისიაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ საჩივრები არ მიიღება.
2. საჩივარი უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს:
ა) საჩივრის შემომტანი პირის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი;
ბ) საჩივრის შემომტანი პირის სტატუსი (არჩევნებში მონაწილე კანდიდატი, დამკვირვებელი, საარჩევნო კომისიის წევრი, ამომრჩეველი);
გ) დარღვევის შინაარსი;
დ) მოწმეების ვინაობა (იმ შემთხვევაში, თუ არსებობენ მოწმეები, რომლებიც დაადასტურებენ ამ ფაქტობრივ გარემოებას);
ე) საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა;
თ) საჩივრის შემომტანი პირის ხელმოწერა.
3. საჩივარს თან უნდა ერთვოდეს დარღვევის ოქმის ასლი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.
4. საარჩევნო კომისია ვალდებულია საჩივრის შეტანიდან 3 დღის განმავლობაში განიხილოს იგი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.
5. არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ გადაწყვეტილებას საარჩევნო კომისია იღებს იმ შემთხვევაში, თუ მიიჩნევს, რომ ამ დებულებით დადგენილი წესის ან/და საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო ბიულეტენების დათვლის პროცესში გამოვლენილმა დარღვევამ არსებითი გავლენა იქონია არჩევნების შედეგზე.
6. საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი XV.
გარდამავალი დებულებები

მუხლი 47. ზოგიერთ აკადემიურ თანამდებობასთან დაკავშირებული ნორმების მოქმედება

1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების (06.09.2013 წ. #N1081-Ilს) ამოქმედებამდე აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული სრული პროფესორი ჩაითვალოს ამ დებულებით გათვალისწინებულ პროფესორად.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული კანონის ამოქმედებამდე არჩეული ასისტენტ-პროფესორი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. ამასთან, იგი უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში, რისთვისაც ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია ამომრჩეველთა შესაბამის სიაში ამ დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტით

დადგენილი წესით. ამ მიზნით, იგი ვალდებულია მიღებული გადაწყვეტილების შესახებ წინასწარ წერილობით აცნობოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (კანცლერს), შესაბამის სიაში შეყვანის მიზნით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დებულებები მოქმედებებს ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე დარჩენილი უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.